საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 197-03
15/02/2024

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლისთვის ,,ეთიკასა და პოლიტიკის ფილოსოფიაში“ მონაწილეთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადებისა და პირობების დადგენის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის, 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ზ” ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-20 მუხლის 1- ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, ილიაუნის სტეფანწმინდის ალპური ეკოლოგიის ინსტიტუტის კვლევით ბაზაზე ორგანიზებულ საზაფხულო სკოლაში „საერთაშორისო სადოქტორო სკოლა ეთიკასა და პოლიტიკურ ფილოსოფიაში“ რეგისტრაციის საფასურისა და სასტუმრო მომსახურების ტარიფის განსაზღვრის შესახებ“ N159-02, 26/01/2024 ბრძანების მეორე პუნქტის, უმაღლესი კვლევების ცენტრის დირექტორის, პროფესორ გიგა ზედანიას N1877-35 05.02.2024. და N 2182-35 09.02.2024. წარდგინებების გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილ საერთაშორისო სადოქტორო სკოლისთვის ,,ეთიკასა და პოლიტიკის ფილოსოფიაში“ უმაღლესი კვლევების ცენტრის მიერ დასაფინანსებელი 5 მონაწილის შესარჩევი კონკურსი, შემდეგი პირობებით:

   ა) კონკურსში მონაწილეობა შეუძლია მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის:

   ა.ა) აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტს;

   ა.ბ) აქტიური სტატუსის მქონე დამამთავრებელი წლის მაგისტრანტს, რომელიც სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობს;

   ბ) კონკურსანტებმა შესარჩევ კომისიას 2024 წლის 31 მარტამდე უნდა წარუდგინონ სამოტივაციო წერილი და აკადემიური ბიოგრაფია (CV).

გ) განაცხადების შეფასებისას კომისიის წევრები შემდეგი შეფასების სისტემით იხელმძღვანელებენ: სამოტივაციო წერილი - 80% და CV – 20%. შეფასებისას ყურადღება მიექცევა საკვლევი თემის რელევანტურობას.

დ) საკონკურსო განაცხადი და ამ მუხლის ,,ბ“ პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ ელექტრონულ მისამართზე: kazbegiphdschool@gmail.com .

ე) საკონკურსო განაცხადებს 2024 წლის 1-დან 10 აპრილამდე განიხილავს კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ე.ა) თამაზ თოხაძე - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი;

ე.ბ) თამარ ცხადაძე - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

ე.გ) აქსელ გოსრი - ბელგიის ეროვნული ფონდის მკვლევარი-პროფესორი და ლუვენის უნივერსიტეტის (ბელგია) პროფესორი;

ე.დ) ივანე ლომიძე - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის უმაღლესი კვლევების ცენტრის ადმინისტრაციული ასისტენტი, საათობრივად მოწვეული მასწავლებელი.

2.კონკურსის შედეგად შერჩეული ხუთი კონკურსანტის დაფინანსების მიზნით უმაღლესი კვლევების ცენტრის წარდგინების საფუძველზე გამოიცეს შესაბამისი ბრძანება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ.

3.დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანებით გათვალიწინებული ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსება.

4. დაევალოს უმაღლესი კვლევების ცენტრს საკონკურსო პროცესის ორგანიზება.
5. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ეს ბრძანება გააცნოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, უმაღლესი კვლევების ცენტრს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი